მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს, ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

პეტერბურგში გაფიცვის გამო, გაზეთები არ გამოვიდა. ტრამვაის მსახურნიც გაფიცულან. ბაიდარის თემში (კრიმში) დაწყებულა აგრარული მოძრაობა.

…ედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ.

ადრესი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩა., № 117.

№ 39

სამშაბათი, 25 ივლისი 1906 წ. თბილისი

№ 39

…ვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი …ზეთის პატარა კალონკები მუშებს, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მიმავრელთა წინააღმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ …შების დიდ ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინააღმდეგ.

„ცნობის“ რედაქცია

…დავიდა სოლოლაკში განოვის …ჩაზე სახლი გურგენოვისა № 8 …ლაქის საბჭოს მახლობლად.

## „დუმამ“ რევოლიუციონური როლი ითამაშა?!

„დუმას“ დიდი რევოლიუციონური მნიშვნელობა ექნება, იგი …დ რევოლიუციონურ როლს ითამაშებს,—აი რა ეკერა პირზედ ყველას, მთელ რუსეთის საზოგადოებას, …რტიათა უმეტეს ნაწილს.

დუმა მიწასა და თავისუფლებას …ოგვცემს, — აი რას ლაპარაკობდენ გლეხები. ამ იმედით გატაცებული, მთელი რუსეთი შეუდგა …სათათბიროს წევრების ამორჩევას …ა როგორც მთავრობის, ისე „პარტიების“ მრავალგვარ „კლიაუზნიობის“ შემდეგ, შესდგა ჩვენი მიროვის პირველი პარლამენტი.

ბევრი ტრაბახი, ბევრი პროტესტი, ბევრი სიტყვების რახა-რუხი, ბევრი საშინელი და უშიშარი სიტყვები …ყდებოდა დარბაზის კედლებს, …სათათბიროს გულ-დამშვიდებულ დეპუტატებს კი, რომელნიც ამ ბრახა-ბრუხის დროს დარწმუნებულნი …ყვნენ, რომ მათ არავინ აძრობდა …ურგზედ ტყავს მათრახით, შეიძლება მართლა ეგონათ რომ რაიმე …ევოლიუციონურ როლს თამაშობდენ!

სათათბიროვმ თავი „გენერალურ …ტატებად“ წარმოიდგინა“, ყოველი …ს უნიკო დეპუტატს თავი მირაბოდ …ჩნდა. საზოგადოებაც მხარს უჭერდა და უკვე აღნიშნა ნამდვილი …ობა,—ბ-ნი როდიჩევი. მგონი …ს უკანასკნელი იყო მირაბოს სიტყვით რომ განიმეორა,—მხოლოდ ხიშტების ძალით გაგვიყვანთ დარბაზიდანო! „დუმის“ ტრაბახმა და ქვეყნის მსხნელად თავისი თავის აღიარებამ საზოგადოება დაამშვიდა, იგი გაფაციცებით ელოდა რევოლიუციის მიერ წამოყენებულ კითხვათა გადაწყვეტას. გლეხები, როგორცა ვსთქვით, მიწისა და თავისუფლების მოლოდინში იყვნენ.

ამგვარ პირობებში შეუდგა დუმა „კითხვათა“ გადაწყვეტას,—მშვიდობიანი გზით, როგორც თვითონ იმეორებდა ყოველ დღეს ათასჯერ.

შიმშილობის წამალი—დანგრევა თვითმპყრობელობისა, რეაქციონურ სამინისტროს ჩამოგდება და ახალი, წარმომადგენლობითი მთავრობის დამკვიდრება! „აგრარული კითხვის“ გადამწყვეტი საშუალება,—იგივე, „მუშათა კითხვის“—იგივე, ყოველივე კითხვის გადაწყვეტა,—იმავე საშუალებით, იმავე გზით! საყოველთაო პანაცეა რუსეთის ხალხის ტკივილთა და სულისკვეთებისა, — ახალი მთავრობა, ახალი მინისტრები, ახალი კანონები,—აი, რა იყო მათი „რწმენა!“ მინისტრებს ყოველივე ეს ესმოდათ და ყურსაც არ იბერტყავდნენ. დუმა მათ ყოველ წუთს ეუბნებოდა,—არა გვაქვს თქვენი ნდობა, გაეთრიეთ გარეთ, თქვენ დამნაშავეები ხართ—და ბოლოს 15 მილიონი „ანდრეეს“ მთავრობას, რომელსაც ყოველ დღე ლანძღვითა და გინებით „უნდობლობას“ უცხადებდენ.--აი დუმის „მოქმედება“.

„საზოგადოება“ ყოველივე ამას გულის ფანცქალით ადევნებდა თვალყურს. ეს სასაცილო კომედია მას დიდ ისტორიულ მოვლენად მიაჩნდა,—და არა თუ დიდ ისტორიულ მოვლენად, არამედ თვით მხსნელ მოქმედებად, განთავისუფლების უზენაეს აქტად. იგი დამშვიდდა, დაიშინა და ვარდის ფრად შეიღება მომავალ თბილ რუსეთში „მშვიდობიანი წესიერების“ დამყარებისა.

მხოლოდ მთავრობის უარი ამნისტიაზედ, სამხედრო წესების მოხსნაზედა და სხ., ცოტა არ იყოს მას აფიქრებდა, მაგრამ იმ იმედით, რომ ყოველისფერი ერთად არ შეიძლება, — ამასაც მალე შეეჩვია და ხიშტიანი „გოროდოვოი“ ქუჩაზედ აღარ ეჩვენებოდა არა-ჩვეულებრივ მოვლენად,—ფიქრობდა, მალე ამასაც მოგვაცილებს დუმა თავიდანო. მას ჩვეულებად გადაექცა „ტელეგრამების კითხვა“: მთქნარებით ეკითხებოდნენ ერთი მეორეს მისი ინტელიგენტი წევრები: а, что вы думаете, Думу разгонятъ?—Я думаю, что нѣтъ...

—А я думаю Что, да... знаете...—впрочемъ, чортъ ихъ тамъ знаетъ... ну, до свиданія увидишь что будетъ... და ერთიც და მეორეც სულ სხვა ოცნებას მიეცემოდნენ ხოლმე, — ოცნებას, რომელიც ისე შორს იყო სათათბიროსაგანაც და რევოლიუციისაგანაც, როგორც გენერალ-გუბერნატორები პატიოსნებისაგან და ადამიანობისაგან. ამგვარად ინტელიგენტმა საზოგადოებამაც“ ძილს მისცა თავი.

მუშათა კლასმა მთელი რევოლიუციის ტვირთი თავის ზურგზედ აიტანა; მისი როლი რუსეთის რევოლიუციაში მართლაც დიდი იყო, მაგრამ დაღლილმა და ძალა-გამოლეულმა,—იმანაც მოსვენება მოინდომა, განსაკუთრებით საშინელ დამარცხების შემდეგ,—და აი, ამ დროს გამოჩნდა „დუმა“ და დაჰპირდა მას ოქროს მთებს, აუარებელ ცვლილებათა განხორციელებას. „პარტიებმაც“ წარმოიდგინეს, რომ ამ „დუმას“ სწორედ დიდი რევოლიუციონური როლის თამაში შეუძლია,—ორივე შემთხვევაში, დაშლის თუ არ დაშლის მას მთავრობა,—და შეუდგენ საარჩევნო აგიტაციას, დახარჯეს მაზედ მრავალი ძალა, შემდეგ კი მთელი ყურადღება მუშათა კლასისა მაზედ მიაპყრეს, სარევოლიუციო გამოქრებისათვის მომზადება ძალა-უნებურად გადადვეს და მათმა გავლენამ ხალხში რევოლიუციონური სულის შთაბერვისამ თვალ-საჩინოდ იკლო; იკლო როგორც ქალაქებში, ისე სოფლებში, სადაც გლეხობა ისედაც მართლა მოელოდა „დუმისაგან“ მიწასა და თავისუფლებას.

შეიძლება გვითხრან, რომ პარტიები აქ არაფერ შუაშია, რადგანაც მათ თავის დღეში არ სწამდათ, რომ „დუმა“ რამეს გააკეთებდა, მაგრამ საქმე ის კი არ არის, რა სწამდა პარტიებს, არამედ ის, თუ რა გამოიწვია „დუმის“ არსებობამ: როდესაც მთელ ევროპულ წოდებულ საზოგადოებას მისკენ ჰქონდა მიპყრობილი იმედის თვალი, როდესაც გლეხობა მიწასა და თავისუფლებას გამოელოდა თავიანთ წარმომადგენელთა მოქმედებისაგან „დუმაში“, როდესაც მუშათა კლასმა მიიღო მონაწილეობა მის არჩევნებში და შემდეგ ძალა-უნებურად თვალ-ყურს ადევნებდა, იმედებით აგრეთვე, მის მოქმედებასა და ბრძოლას მთავრობასთან,—როდესაც ერთი სიტყვით ძალა-უნებურად ამ რეაქციისა და რევოლიუციის უკანონო შვილმა — „დუმამ“ — თავისი განსაკუთრებულ ხასიათით არა თუ მთელი რუსეთის, არამედ მთელი ევროპის თვალი მიიპყრო,—შეუძლებელი იყო ამ პირობებში ჩვენ პოლიტიკურ პარტიებსაც არ გამოსცლოდათ ხელიდან დრო და საშუალება ხალხის რევოლიუციონურ მომზადებისა, ენერგიის ხელ-ახლათ მოგროვებისა, რომ უფრო მედგრად დასტაკებოდენ გაშმაგებულ რეაქციას... და მათაც დაიძინეს, დაიძინეს ფაქტიურად, თუმც ეგონათ რომ დიდ მოქმედებაში, დიდ რევოლიუციონურ მზადებაში იყვნენ.

ამგვარად დუმამ ყველა დააძინა და ყველას წაართვა შეძლება რევოლიუციონური მზადებისა და მოქმედებისა: „საზოგადოებას“, გლეხობას, მუშებს, პარტიებს.

ეს არის მისი რევოლიუციონური მნიშვნელობა? ჩვენი ფიქრით არა.—მისი როლი მხოლოდ დამაძინებელი იყო რუსეთის რევოლიუციისა!

* * *

მთავრობა კი რას სჩადიოდა ამ დროს?

მთავრობა ამ დროს ხალხის ძილით სარგებლობდა, იგი „დროს იგებდა“. იგი ჰკრებდა რევოლიუციის მიერ დაფანტულ ძალებს. როგორც კი მორჩა აჯანყებულთა „დამშვიდებას“, როგორც კი დაამთავრა საქართველოს, მოსკოვისა და ოსტზეის მხარის განადგურება, გადაწვა და გაპარტიურება,—მაშინვე

მიჰყო ხელი დანგრეულ არმიის ხელახლა მოწყობას, შერყეული ბიუროკრატიის აღდგენას, თავის საზიზღარ და უზარმაზარ დაზიანებულ სახელმწიფო მანქანის შეკეთებასა და ხელახლა გამართვას.

მთელ რუსეთის მიდამოებში გაისმა გმირული ხმა განთავისუფლებისა, ხმა დიდი რევოლიუციისა. ამ ხმამ ჯარის ყურამდისაც მიაღწია, მანაც გაიგო რომ მას არ შეჰფერის ალასრულოს მუდამ დამნაშევისა და ბარბაროსის როლი, და ეს შეგნება მის მძლავრ პროტესტში გამოიხატა. მაგრამ მთელი წლობით ყაზარმებში ტვინ-გამოლაყებული, კაცის კვლისა და გარყვნილების სკოლაში გაწრთვნილი სალდათი განთავისუფლების იდეას ვერ შეითვისებდა ისე მკიდროდ, როგორც სხვა ელემენტები ხალხისა, აგრეთვე როცხვი შეგნებულ სალდათებისა დიდი ვერ იქმნებოდა. გარდა იმისა, ინიციატივას მოკლებული და დისციპლინას შეჩვეული სალდათი ვერ დაამთავრებდა ბოლომდის დაწყებულ პროტესტსა და აჯანყებას; მას ყოველთვის ეშინოდა ჯარის სხვა ნაწილისა, მას ყოველთვის ჰქონდა გამჯდარი გულში კაი ხნის ალბექდილი შიში უფროსისა,—და შედეგი ყოველივე ამისი იყო „avorlemeut“-ი ჯარის მოძრაობისა. ასე იყო **ჯერ-ჯერობით.**—მთავრობამ კი ამით ჭკვიანად ისარგებლა. მან ისარგებლა აჯანყებული ჯარის გაუბედავობითა და დაქსაქსა მღელვარე პოლკები, გადაარჩია სანდო ჯარი აჯანყებულთაგან, და სანამ „დუმის“ ორატორები არახუნებდენ სიტყვებს, საზოგადოება პირდაღებული მისჩერებოდა პეტერბურგს, დაღლილი მუშები ძალის შეკრების მაგიერათ იქითკენ აქცევდენ აგრეთვე ყურადღებას, გულ-უბრყვილო გლეხები კი მიწისა თავისუფლების მოლოდინში იყვნენ,—ამასობაში მთავრობამ ისევ მოასწრო „თავისი“ ჯარის შევსება კეთილ-საიმედო ჯარით, ძველებურად დაემყარა ხულიგან მხედრობის შტიკებზედ და „დუმის“ გაძევებით გამოუცხადა შჰაგს რუსეთს:—მზადა ვარ, გამოდი საბრძოლველად! ჩემ მიერ შენ წარმომადგენელთა გაძევება—შენი დუელში გამოწვევაა; გამოდი, ვიბრძოლოთ, ან სიკვდილი, ან სიცოცხლე?

შენიშნა „დუმამ“ ეს პროცესსი, დაინახა მან, რას სჩადიოდა მთავრობა მისი ლაყბობის დროს, რას ამზადებდა იგი ხალხის წინააღმდეგ? არა, იგი შეკითხვებში ატარებდა დროს,—ევროპის პარლამენტშიაც ხომ ასე ხდება,—„დუმაც“ ხომ პარლამენტი იყო, პირველი რუსეთის პარლამენტი? მაგრამ მართალი რომ ვსთქვათ, მას არც შეძლო სხვანაირი მოქმედება,—მან მხოლოდ თავისი ბუნებრივი ფუნქცია აასრულა, მას კრინტიც არ დაუძრავს ხალხის წინაშე იმის შესახებ, თუ რას შვრებოდა მთავრობა; მას უხაროდა ჯარში მოძრაობა, მაგრამ ვერც კი შენიშნა მთავრობის საშუალება ამ მოძრაობის შედეგების თავიდან ასაცილებლად — ჯარის გადარჩევა,—და როდესაც პანჩური მიიღო,—თვალებ-დაჭყეტილი, გაოცებული დარჩა; ეხლა კი ელის,—ვინ დაუჭერს მხარს. იგი ძილისაგან ვერ გამოერკვა, ვერ შენიშნა როგორ მოატყუა მთავრობამ რევოლიუცია სწორედ მისი, დუმის საშუალებით; და თუ შეიძლება რაიმე როლი მივაწეროთ დუმას, ეს როლი ამ მხრივაც უფრო რეაქციონური იქნება, ვიდრე რევოლიუციონური.

Bâton.

---

## ახალი ამბავი

23 ივლისს, ღამის 3 საათზე, ავჭალის ქუჩაზე, ვიღაც უცნობებს მოუკლავთ გოროდოვოი კ. დესებესი.

— ბაქოდან მოსული თათრების 3 წარმომადგენელნი ნამესტნიკთან, გოლოშჩაპოვის გამოწვევის სათხოვნელალოდ, 22 ივლისს უკანვე დაბრუნდნენ, რაკი მთავრობასთან ამ საქმეზე ვერა გააწყეს რა.

— სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ყაზაშვილისა, რომელსაც ბრალდებოდა ვატმან ლიტვინენკოს მკვლელობა. სასამართლომ დამნაშავეთ სცნო ყაზაშვილი და ყოველივე ღირსების ჩამორთმევით მიუსაჯა 3 თვის დაპატიმრება.

— როგორც შუშის მაზრიდან იტყობინებიან, სოფელ ხარამურის მცხოვრებნი სომხები, რიცხვით 100 კაცამდე თავს დაესხნენ თათრის მწყემსებს და წაართვეს 60 სული მსხვილ-ფეხი საქონელი. რამოდენიმე თავდამსხმელთაგანი გამოიცვნეს. რამოდენიმე დღის შემდეგ სამაგიერო გადუხადეს თათრებმაც: შეიარაღებული თათრები თავს დასხმიან სომხის მწყემსებს და წაურთმევიათ 96 თავი მსხვილფეხი საქონელი.

— განჯიდან იტყობინებიან, რომ ამ დღეებში რამდენიმე შეიარაღებული კაცი თავს დაეცენ ისრაფილ-მირზა-ალი-ოღლის. თავდამსხმელებმა ჯერ მძიმეთ დასჭრეს სახლის პატრონი, შემდეგ კი მის ცოლს წააგლიჯეს სამკაულები, ღირებული 410 მ. და მიიმალენ.

— მაზუთნი ქუჩაზე, 22 ივლისს, ტერ-აბრამოვთან შესულან სამი ყმაწვილი კაცი და მოუთხოვიათ ფული დაშნაკცაკანების პარტიის სახელით, თანაც გაუბრთხილებიათ ტერ-აბრამოვი, რომ მან მესამეთ მიიყვანა ისინი და ფულს კი არ აძლევს. ტერ-აბრამოვი დაპირებია ფულის მიცემას, მხოლოთ უთხოვნია კანტორაში მოცდა. მინამ ისინი ითახში ნაცადან შეუტყობინებიათ დაშნაკცაკანის პარტიის წარმომადგენელთათვის, რომელთაც ფულის მომთხოვნელნი თავის წევრებათ არ უცვნიათ

— 22 ივლისს, „რენესანსის“ ბაღში მოხდა კრება სასტუმროების და რესტორანების პატრონებისა. კრებას დაესწრო 100 კაცი. კრებამ შეიმუშავა, პროფესიონალური კავშირის წესდება, რომლითაც თითოეულმა წევრმა ერთხელ უნდა გადიხადოს 10 მ. და წლიურათ 24 მ.; კავშირს მიზნათ აქვს დახმარება ალმოუჩინოს თავის წევრებს და მათს ოჯახებს, როგორც სიბერის ისე უბედურობის დროს.

---

# ფელეტონი

**მოკლე სისტემა ანარქიზმისა.**

(ე. მალატესტასი)

(გაგრძელება *)

**საუბარი მერვე.**

**ამბრუაზ.** წარმოიდგინეთ რომ,—რაც მეტს ვფიქრობ თქვენს თავისუფალ კომუნიზმზე, მით უფრო ვრწმუნდები რომ თქვენ საკვირველი ორგინალი ხართ.

**გიორგი.** რატომ?

**ამბრუაზ.** იმიტომ რომ სულ შრომაზე, კმაყოფილებაზე და სოლიდარობაზე ლაპარაკობთ და ერთი სიტყვაც არ წარმოგითქვამთ მთავრობაზე. როგორი იქნება ის, ან ვინ აირჩევს, ან რა საშვალებებით შეუძლია მის მიერ შედგენილ კანონთა დამრღვეველნი დასაჯოს? როგორ იქნებიან დაწყობილნი სხვა და სხვა უფლობათა დაწესებულებანი?

**გიორგი.** ყველა თქვენი უფლობათა დაწესებულებანი, ჩვენ არაფრად გვესაჭიროება. ჩვენ არ გვინდა მთავრობა.

**ამბრუაზ.** როგორ არ უნდა ვსთქვა, რომ თქვენ ორიგინალი ხართ! მე კიდევ მესმის კომმუნიზმი ან, უკეთ რომ ვსთქვათ, მას აქვს დიდი უპირატესობანი სახელმწიფოში, სადაც ყოველი კარგად მოწესრიგებულია განათლებულ მთავრობით, რომელსაც შესწევს ძალა რომ ყველა აიძულოს კანონთა პატივის საცემლად. მხოლოთ უმთავრობოთ, და უკანონოთ რომ დარჩეს ქვეყანა, გამეფდება წარმოუდგენელი ხაოსი!

**გიორგი.** პირველათ თქვენ კომმუნიზმის წინააღმდეგ ილაშქრებდით, რომ აუცილებელი საჭიროა ცენტრალისტური ძლიერი მთავრობა; ეხლა, როდესაც ლაპარაკი არის უმთავრობო საზოგადოებაზე, თქვენ არ ეწინააღმდეგებით კომმუნიზმს, მხოლოდ მას რომ ხელმძღვანელობდეს ძლიერი მთავრობა. თავისუფლება—აი რა, უმეტესად გაშინებთ თქვენ.

**ამბრუაზ.** ასე თუ ისე სიმართლეა ერთი: უმთავრობოთ საზოგადოებას არ შეუძლია არსებობა. როგორ შეგიძლია თქვენ ისეთი ცხოვრების წარმოდგენა, სადაც არავითარი დებულებანი და ნორმები არ არსებობენ; თუ დატვირთულ ურემს, ერთი მარჯვენით სწევს მეორე მარცხნით, ის არ დაიძვრის თუ დაიძრა სულ გადაბრუნდება.

**გიორგი.** მე ერთი სიტყვაც არ მითქვამს თქვენთვის დებულებათა და ნორმებზე. მე ვსთქვი რომ არ გვინდა ჩვენ მთავრობა და მთავრობის მაგიერათ მე ვიხსენიებ უფლობას, რომელიც ადგენს კანონებს და აიძულებს ხალხს, რომ დაემორჩილონ ამ კანონებს.

**ამბრუაზ.** თუ ეს მთავრობა ხალხიდან არჩეული იქნება და გამოხატავს მათ სურვილს, კიდევ რაღა გსურთ?

**გიორგი.** ეს ტყუილია. ხალხის კოლლექტიური ნება არის მხოლოდ განყენებითი აზრი (ОТВЛЕЧЕННОЕ) და არა რეალური არსებობა. საზოგადოება შესდგება ინდივიდებისაგან, სხვა და სხვა ინდივიდებს აქვს ათასი სხვა და სხვა სურვილები; და როგორ შეიძლება უთხრას ერთმა კაცმა მეორეს: „აასრულე ჩემი ნება ყოველ შემთხვევაში“, განა შეუძლია ვინმეს წინასწარ დანახვა იმისა თუ როგორი იქნება მისი სურვილი ყოველ შემთხვევაში? როგორ შეუძლია ხალხს დაავალოს ვინმეს თავიანთი ნების ასრულება, როდესაც რწმუნების ჩაბარების წუთსაც ამომრჩევლები ჩვეულებრივად არ ეთანხმებიან ერთი მეორეს? თქვენ გაიგეთ, იცით, როგორ წარმოსდგება არჩევნები? მე სახეში მაქვს საყოველთაო თანასწორი და სხვა და სხ. საარჩევნო უფლება თავისუფალ, შეგნებულ ინტელიგენტთა წრეში. მაგალ. თქვენ აძლევთ ხმას იმას, რომელსაც თქვენ სთვლით თქვენი ინტერესების და რწმენის დამცველათ. ესეც თითქმის ზედ-მეტია, რახან თქვენ იმდენი იდეია, იმდენი სხვა და სხვა ინტერესები გაქვთ, რომ ისეთი კაცის მოპოვება, რომელიც ეთანხმებოდეს შენს სურვილებს ძნელზე უძნელესია, განა სახელდობ თქვენ ვისაც მიეცით ხმა ის გაგიწევთ მართველობას? სრულებითაც არა. ასისაგან ცხრა შემთხვევაში, თქვენი კანდიდატი არ აღმოჩნდება არჩეული და მაშინ თქვენი პირადი ნება სრულიადაც არ ღებულობს მონაწილეობას ზემოხსენებულ ხალხის ნებაში. მაგრამ ვსთქვათ რომ თუ გინდ ამორჩეული იქმნა, ნუ თუ ის მართველობას

---

*) იხილე «მუშა» № 30.

აგრეთვე გახსნან თავიანთ ხარჯზე სასწავლებელი და სხვა საქველმოქმედო დაწესებულებანი. „კავშირმა“ იურისკონსულტათ მიიწვია ა. ყანჩელი.

— როგორც ბორჯომიდან გვწერენ იქ ამ დღეებში ადგილობრივი თეგონის ოლქის, ჯარის კაცების ჩვენებით დაუჭერიათ დათიკო სულიაშვილი. ჯარის კაცების მოსაზრებით სულიაშვილს მონაწილეობა უნდა მიეღოს აფიცერ დავიდოვის სიკვდილში და თეგონის პოლკის ჯარის კაცების იარაღის აყრაში.

— როგორც არეშის მაზრიდან გვატყობინებენ იქ ამ დღეებში ბრბო 40 კაცისგან შემდგარი, ასკაი-ხანის მეთაურობით გადასულა მდინარე მტკვარზე და თავს დასხმია კანჯუნცევის სამ ოსახლოს. წაუსხავთ საქონელი და წაუყვანიათ ტყვენი მზარეულნი. აქედან გადასულან ჯევანშირის მაზრაში. უკან დასდევნებია ბოქაული დირაჯებით.

---

**† დაუვიწყარ აბრამ რიჟინაშვილის ხსოვნას, პოლიციის მიერ მოკლულს ქ. ქუთაისში, 17 ივლისს.**

კიდევ ერთი მსხვერპლი გაუმაძღარ, სისხლით მოსვრილ მთავრობისა, კიდევ ერთი ძალ-ღონით სავსე ჭაბუკის სიცოცხლის მოსპობა! ნუ-თუ არ მოისპობა ადამიანის ხორცით გამაძღარი მთავრობის ჯოჯოხეთური სიცილი და გამარჯვების დღესასწაული?... ნუ თუ აღარ უჩანს, ბოლო მგლეჯელ-მძარცველების უსინდისო ცინიზმს... ნუ-თუ მათთვის ხალხის გოდება სრულიად არაფერს წარმოადგენს და რაც ძალი და ღონე აქვს მხეცურად სთელავს თავის საძაგელ ფეხ ქვეშ ხალხის წმიდათა წმიდას, და უ პობს სიცოცხლეს ყველა იმას, ვინც ვერ შერიგებია მთავრობის საზიზღარ თვითნებობას და ველურ ინსტიქტებს?!..

აბრამ! განა ამოდენი იმიტომ იშრომე და იტანჯე, რომ შენ, განგმირულს მტრის წყეული ხელით, ეგრე მალე დაგიტოვებინა შენი ამხანაგები?... გახსოვს, როცა შენ მთელი დღეები მშიერი ატარებდი ლეიპციგში, რომ როგორმე მოგეხერხებინა წიგნების ყიდვა, რომელთა კითხვაშიაც შენ მთელ დღე და ღამეებს ატარებდი?... გახსოვს როგორი ენერგიით შეუდექი შენ უცხო გერმანული ენის შესწავლას, და მართლაც მალე გაასწარი წინ შენზედ წინედ ჩამოსულ ამხანაგებს? გახსოვს ცხრა იანვარი 1905 წლისა, როდესაც ჩვენ პირველად, გავიგეთ პეტერბურგში მომხდარი ბარბაროსობა და შენ თავდაკარგული დადიოდი და ეჩქარებოდა სამშობლოში გამომგზავრებას, შენ კარგათ იგრძენ მნიშვნელობა იმ ალისა რომელმაც გააჩაღა რუსეთის დიდი ქარიშხალი... შენ მთელი საათობით, ბევრჯელ შუა-ღამისას, თოვლსა და ყინვაში გაჩერებული იდექი ხოლმე Leipseger Tageblatt-ის კონტორის ვიტრინის წინ და მოუთმენლათ ელოდი რუსეთში დაწყებული რევოლიუციის ამბებს... გახსოვს, რომ გვეუბნებოდი ჩვენ შენსავით ღარიბ ამხანაგებს: „თუ მალე არ ვიშოვე რუსეთში წასასვლელი ფული, ჩკუაზედ შევიშლები... იქ რევოლიუცია დაიწყო, იქ ცხოვრება სდუღს და ჩემთვის ლეიპციგი სატუსაღოა“... სულით და გულით ისწრაფოდი შენ ჩვენი ქვეყნისკენ, გინდოდა მალე ჩარეულიყავ მებრძოლთა რაზმში, გინდოდა აგესრულებინა შენი ნამდვილი მოქალაქობრივი ვალი და შეგეტანა შენი წვლილი ხალხის განთავისუფლების საქმეში. როგორი ზიზღით და სიძულვილით ახსენებდი შენ მათ, რომელთაც ბრძოლას საზღვარ გარედ მშვიდობიანი ცხოვრება არჩიეს... როგორ აღფრთოვანებული და იმედებით სავსე გამოემგზავრე შენ რუსეთისაკენ... და აკი კიდევაც ენერგიულად შეუდექი მუშაობას შენ სამშობლო ქალაქში, და თავდავიწყებულმა, უმაღლესი მიზნით განმსჭვალულმა მიეცი მთელი შენი არსება რევოლიუციის ტალღებს და გახდი ჯალათთა ვერაგობის მსხვერპლად... შენ დაღვარე სისხლი მტარვალებთან ბრძოლაში, შეჰღებე ისრედაც სისხლით გაჟღენთილი დედა-მიწა და შენი უკანასკნელი ამოკვნესით გაახარე გამეფებული ძალმომრეობა,.. მაგრამ, დაუვიწყარო მეგობარო, შენ მოკვდი, როგორც ხალხისათვის თავგანწირული გმირი, შენ შესწირე თავი ხალხის თავისუფლების მოპოვებას და ჩაეწერე იმ თავდადებულ გმირთა რიცხვში, რომლებითაც ასე მდიდარია რუსეთის რევოლუცია და რომელთა რიცხვი დღითი დღე იზრდება: ამით შენ დაიდგი მუდმივი ძეგლი ჩვენ ტანჯულ გულში, შენი თავგანწირვა, შენი სამაგალითო შრომა და ენერგია არასოდეს არ დაავიწყდება შენს მეგობრებს... შენი ტანჯული სურათი მუდმივ გაგვიღვიძებს ჩვენ საუკეთესო გრძნობებს, აავსებს ჩვენ გულს ზიზღით და კრულვით მტარვალთადმი და მიგვიწვევს შურის საძიებლად და მუდმივ ბრძოლისთვის... შენი ხსოვნა, საუკეთესო ამხანაგისა და მებრძოლისა არ მოკვდება არასოდეს მათში ვისაც შენთან დამოკიდებულება ჰქონია...

მშვიდობით ძმაო!.. შენით გაამრავლე რიცხვი უმანკო მსხვერპლებისა... მაგრამ თავგანწირულნო, უმაღლესნო გმირებო, ნუ-თუ ვისმეს ჰგონია რომ თქვენი სიცოცხლის მოსპობით ჩაქრება დიდი განმათავისუფლებელი მოძრაობა და მთავრობის დაუჯერელი საზიზღარი ვაქხანალია და თეთრი ტერორი შეაჩერებს რევოლუციის ქექა-ქუხილს?!. არა .. არასოდეს... იცოდეს ყველამ, რომ თვითეული წვეთი თქვენი სისხლისა დანთხეული გმირულ ბრძოლაში ნორჩ თავისუფლებისა დახავსებულ ვერაგ მთავრობასთან, გარდაიქცევა მებრძოლ მოქალაქეთ და თქვენი მაგალითებით გამხნევებულნი თავზარს დასცემენ გაშმაგებულ მტარვალებს და შურს იძიებენ თქვენთვის და ტანჯულ ხალხისათვის... იცოდეთ, რომ დადგება ის დრო, როდესაც ხალხი, რომლისთვისაც თქვენ წამებულნი ხართ, დაამსხვრევს ბორკილებს, მოწიწებით მოვა თქვენ დიდებული საფლავთან ააფრიალებს უძლეველ დროშას და გიმღერთ თქვენ თავისუფლების და გამარჯვების საგალობელს!..

ი. ტ.

---

გაგიწევსთ? ფრთა შეკვეცილი ოცნებებია. ის იქნება მხოლოდ ერთი ბევრთაგანი და თქვენ გაგიწევსთ მართველობას ის პირები, რომლეზედაც ვინიცის სრულებითაც არ მიეცა იქნება რწმუნებულება.

ეს უმრავლესობა, (რომლის წევრებმა მიიღეს ამდენი სხვა და სხვა და ერთი მეორის საწინააღმდეგო რწმუნებანი, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, საერთო რწმუნება, რომლის საშუალებით ნება ეძლევად იმოქმედონ განუსაზღვრელ მითითებით). რომელსაც არ შესწევს ძალა, დაიმორჩილოს არა არსებული საერთო ნება, და დააკმაყოფილოს ყველას სურვილები, თავისებურად განაგრძობს საქმის წარმოებას, ან და კიდევ უარესი, როდესაც, რაოდენიმე პირის მეოხებით, რომლებმაც შემთხვევით დაიმორჩილეს ეს უმრავლესობა, განაგრძობენ საქმეს თავისებურად.

და ასე, დაივიწყეთ ეს ლეგენდა მთავრობაზე, რომელიც გამოხატავს ხალხის ნებას. რასაკვირველია, არსებობს საერთო წყობილების კითხვები, რომელზედაც ამ მომენტში ყველა ხალხი ერთნაირი შეხედულების იქნება. მაგრამ მაშინ რა საჭიროა მთავრობა? თუ ყველა დაინტერესებულია რაიმე საქმის მოწყობაში; დეე, თვითონ გააკეთონ.

**ამბრუაზ.** ბოლოს თქვენ ხომ საჭიროთ სცნობთ ცხოვრების კანონებს და ნორმებს? ვინ უნდა დააწესოს ის?

**გიორგი.** თვითონ დაინტერესებული პირები, რომლებიც იხელმძღვანელებენ ამ ნორმებით და კანონებით,

**ამბრუაზ.** როგორი იქნება ამ ნორმათა ფუნქცია?

**გიორგი.** გაიგეთ, ჩვენ ვლაპარაკობთ თავისუფლად აღიარებულ და დაწესებულ ნორმებზე. ნუ, ურევთ იმ ნორმებს რომელიც გამომდინარეობს სოლიდარობის და საერთო მიზნისაკენ მისწრაფების გრძნობებიდან იმ ნორმებში, რომელიც გამოგონილია თავმოყვარე ან სულელ პირებისაგან, და ძალადობით მოჰყავთ სისრულეში. ჩვენ უარ-ვყოფთ კანონებს და ვაღიარებთ მხოლოდ თავისუფალ თანხმობას.

**ამბრუაზ.** თუ ვინმემ დაარღვია ეს თანხმობა?

**გიორგი.** რატომ დარღვევს თუ მის ინტერესებს გამოხატავს ეს თანხმობა? და თუ მართლაც აღმოჩნდა რომ სიჩქარით აღიარებული თანხმობა, არღვევს ვისიმე ინტერესებს, ეს დაგვიმტკიცებს, იმას რომ, გამოუსადეგარია ამ თუ იმ პირებისათვის და მაშინ იმას უნდა შეცვლა. ასე თუ ისე ბოლოს ყველაფერი ნორმალურად გარდიქმნება, რახან ხალხთა ინტერესები იქმნება მოეწყონ ისე, რომ მათ შორის არ აღმოჩნდენ უკმაყოფილონი.

**ამბრუაზ.** ეს არ იქნება დაბრუნება პირველ-ყოფილ საზოგადოებრივ ორგანიზაციისადმი სადაც თვითეული თვითონ იკმაყოფილებდა ყოველ თავის მოთხოვნილებებს და კავშირი საზოგადოების წევრებისა, განისაზღვრებოდა ელემენტარულ დამოკიდებულებით?

**გიორგი.** სრულებითაც არა. რავდენადაც დამოკიდებულებათა სხვა და სხვაობა და ერთნაირობა მოგვცემს უფრო მეტ ზნეობრივ და ქონებრივ დაკმაყოფილების რეზულტატს, იმდენად ჩვენ ვეცდებით მივიყვანოთ ეს სხვა და სხვაობა და ერთნაირობა მათ უკიდურეს საზღვრამდი,

**ამბრუაზ** კი მაგრამ მაშინ ხომ საჭირო დარჩა წარმომადგენელთა არჩევა, რომლებიც დაადგნენ თანხმობას?

**გიორგი.** დიაღ. მხოლოდ არ იფიქროთ რომ ამ წარმომადგენელთა ფუნქციები ისეთივე იქმნებიან როგორც ბურჟუაზიულ მთავრობისა. ბურჟუაზიული მთავრობა გამოსცემს კანონებს და მოითხოვს მის აღსრულებას, და თავისუფალ საზოგადოებაში, მინდობილობა, რომელიც მიცემული აქვს რაოდენიმე პირებს დადებენ მხოლოდ დროებით მოვალეობას, რომ უხელმძღვანელონ ამა თუ იმ ორგანიზაცის, მხოლოდ არ მისცემენ მათ იოტის ოდენ უფლებასაც-კი არც ავტორიტეზე და არ რაიმე სპეციალურ დასაჩუქრებაზე, და გარდაწყვეტილებათა აღსრულება წარმომადგენელთა დამოკიდებული იქნება იმითთაგან, ვინც ისინი აირჩია.

**ამბრუაზ.** კი მაგრამ საიდგან სჩანს, რომ ყველა ყოველთვის, თანასწორ სოლიდარობაში იქნებიან? თუ რომ აღმოჩნდებიან ასეთი ხალხი, რომელსაც არ მოეწონება თქვენი სოციალური, წყობილება? რას უზამთ მაშინ თქვენ იმათ?

**გიორგი.** ეს ხალხი მოეწყობიან ისე როგორც მათ უნდათ და როგორც იცნობენ უკეთესად. და ჩვენ შევალი მათ თანხმობაში, რომ ჩვენ

# რ უ ს ე თ ი

ტყუილი გამოდგა ის ხმები, რომ ვითომც დაეპატიმრებინოთ სახელმწიფო სათათბიროს წევრად ნამყოფნი, ჟორდანია და მიხაილიჩენკო.

(რუსკია ვედომოსტი).

—

სახელმწიფო სათათბიროს დათხოვნის გამო, რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს „შეუმუშავებია რეზოლიუციის პროექტი, რომელშიაც ითხოვენ დაუყონებლივი იქმნას მოწვეული სახელმწიფო სათათბირო, წინანდელ ყოფილი წევრებით. ამ რეზოლიუციას სხვა რევოლიუციონერ პარტიებთა შორის ვერ მოუპოვებია თანაგრძნობა.

(რუსკ. ვედ).

—

ოფიციოზ გაზეთ „როსსია“-ს გამოსაცემათ მთავრობას გადაუდვია ფარულ ხარჯებიდგან 32,000 მანეთი. 1 ივლისიდგან 1 იანვრამდე 1907 წ.

(რუსკ. ვედ.)

—

როგორც „პეტერბურგსკაია გაზეტა“ იუწყება დურნოვო დაბრუნდება რუსეთში, საზღვარ გარეთიდგან აგვისტოში.

—

დრაგომანოვის მიერ დაწერილი ბიოგრაფია ბაკუნინისა, ბეჭვდითი საქმის მთავარ სამართველომ აკრძალა.

(რუსკ. სლოვო)

—

ხმებია რომ ვითომ მთავრობას სურდა შამოეღოს საყოველთო საარჩევნო სისტემა, უსაფუძლო გამოდგა. ამ დღებში მოელიან მანიფესტის გამოქვეყნებას, დეკემბერში არჩევნების შესახებ.

(რაევენსტვო).

—

უკანასკნელ შეერთებულ კრებაზე, პარლამენტალურ მშრომელთ ჯგუფისა, სოციალისტ-დემოკრატთა და ხალხის თავისუფლების ფრაქციებთა შორის შეთანხმება ვერ მოხდა, რადგანაც მშრომელთა ჯგუფი თხოულობდა, რომ დაარსებულიყო შეერთებული პარლამენტალური კომიტეტი, შეუზღუდველი უფლებით. ხალხის თავისუფლების პარტია კი ვერ სთვლიდა შესაძლებლად, რომ დაარსებულიყო ისეთი დაწესებულება, როსელსაც უფლება ჰქონოდა საქმის გაკეთებისა, მთელი პარლამენტარულ ფრაქციების სახელით და წინადადება შეიტანა რომ დაარსებულიყო ინფორმაციონი კომიტეტები, რომელნიც ერთმანეთ შორის ითათბირებდნენ და თუ საჭირო იქნებოდა ჰქონოდეთ უფლება, რომ შეეკრიბათ ფრაქციათა საერთო კრება.

მშრომელთა ჯგუფი ამის შემდეგ შეიკრიბა ცალკე, სხვა ადგილას, რომელიც აწარმოებს საქმეებს ამ ჯგუფისას. (რუს. ვედ).

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ამხანაგო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ ეს პატარა წერილი მოათავსოდ თქვენს პატივცემულ გაზეთში. საქმე ამაშია: თავადმა სოსიკო ქარხნიშვილმა, რომელიც ცხოვრობს სოფელ ვარდის-უბანში (გორის მაზრა) აგერ რვა წელიწადია მას აქეთ რაც ყოვლად უსაფუთოდ წამართვა მე ერთი ოთახი თავის უკანა მიწური მოდ-გმულათ მიაყოლეთ და ამგვარად ცის ამარად დამტოვა მინდორში უსახლკაროდ ჩემი ცოლშვილი ერთად, თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით ვთხოვ საზოგადოებას შევიდეს ჩემს მდგომარეობაში მით უმეტეს რომ ხსენებულმა ქარხნიშვილმა სულ უკანონოდ მიითვისა ჩემი საკუთრება რასაც ვარდის უბნის და ნაცრის-გორის სოფლების საზოგადოება დაამტკიცებს, ამასთანავე ვაცხადებ რომ ხსენებულ ოთახს მე ისე მოვექცევი, როგორც ჩემს კანონიერს საკუთრებას.

სოფელ ნაცრის გორის მცხოვრები გლეხი გურამ ტაბატაძე.

—

ამხანაგო რედაქტორო!

უმორჩილესათ გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთ „მუშის“ საშუალებით „გამოუცხადოთ“ ქიათურის იმ პოდრიაჩიკებს, რომლებიც დაესწრენ იმ ლანძღვას რომელიც ჩემ კენ იყო მიმართული ვ. მაჭარაშვილის დაბეზღებით უფროსთან, რის გამოც მე ზემოხსენებული მაჭარაშვილი გამოვიწვიე სამედიატორო სამართალში, და საქმის განხილვის შემდეგ დაადგინეს შემდეგი.

1) გამოეცხადოს ორი დღის ბოიკოტი იმ კანტორის მოსამსახურეებიდგან ვ. მაჭარაშვილს.

2) მოიხადოს ბოდიში კრების წინაშე.

3). გამოეცხადოს როგორც „პოდრიაჩიკებს“ ისთე თვით გ. ლ. ს რომ მე უბრალოთ დავრჩი გალანძღული რის განჩინებზედაც ხელს აწერენ:

თავმჯდომარე: იულო ჩხიკვაძე

მედიტორეები: ე. ადამია, ბ. დობორჯგინიძე, დ. მგელაძე და შარაშიძე.

ა. ღლონტი.

# დეპეშები

(რუსეთის სადეპეშო სააგენ.).

—

**პეტერბურგი.** გაფიცვის გამო, დღეს გაზეთები არ გამოვიდა გარდა „ნოვოე ვრემია“-სი. ტრამვაი არ დადის, გარდა ნევის ზასტავაზე, სადაც ქარხნები მუშაობენ.

**მინსკი.** გამოუშვეს პოლონელ დეპუტატების მოწოდებანი, სადაც ურჩევენ ხალხს გულ-დამშვიდებით მოეპყრონ ამ მომენტს და მოემზადონ მომავალ არჩევნებისათვის.

**იალტა.** ბაიდარის თემში იფეთქა აგრარულმა მოძრაობამ. გლეხები სჩეხენ ტყეებს, ბულგაკოვისა ბარონ გინცბურგისას და სხვებისას.

**იაროსლავი.** სოფელ სტაროვშ, ცეცხლის გაჩენის გამო, გადაიბუგა 47 სახლი. ერთი მოხუცი დაიწვა 75 წლისა.

**ვარშავა.** რუდსკის ქარხნის კასირს, რომელი ქარხანაც აშენებს მესამე ხიდს, დაეცნ 6 ნავით მოსულნი ბოროტ-მოქმედნი. გაიტაცეს 9000 მანეთი.

— ოგოროდის ქუჩაზედ მოჰკლეს რევოლვერით საპატიმრო სახლის ზედამხედველი ქუზიევი.

**ჰელსინგფორსი.** ქალაქში სიმშვიდეა. გაფიცვა ვერ მოხდა. კოკის მაგიერ, რომელმაც უარი განაცხადა წითელ გვარდიელების წინამძღოლობაზე, აირჩიეს მუშა ლიუტსი.

**ვარშავა.** ტრამვაის კასიდან გაიტაცეს უცნობმა პირებმა 3700 მან. საქსონიის ბაღში მთვრალმა ჯარის კაცმა დასჭრა ბიჭი.

**ვილნა.** ზალკინდის სახლში, ბოლშოი ქუჩაზე, „კომერციულ სასტუმროს“ მოსამსახურეების ბინაზედ, გასქდა ყუმბარა. არავინ დაზიანებულა.

**ეკატერინოსლავი.** დააპატიმრეს ტრამვაის კონდუქტორი მარტინენკო, რომელზედაც ეჭვი მიიტანეს, ვითომ აგიტაციას ეწეოდა ჯარის კაცებში.

**ვილნა.** კიევის და კავკასიის ქუჩების ახლო გორასთან, უცნობმა პირებმა გადაისროლეს ყუმბარა.

---

რედაქტორ გამომცემელი

მიხეილ დიასამიძე

---


# განცხადებანი.

## ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგარიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნელი: „ნობათისათვის“

„მუშის“ რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.


---

ურთიერთ შორის არაფელი უსიამოვნება შეგვემთხვას.

**ამბრუაზ.** თუ ისინი მოინდომებენ ხელი შეგიშალონ?

**გიორგი.** მაშინ ჩვენ დავიცავთ თავს.

**ამბრუაზ.** როგორც რომ წარმოიშობა თავის დაცვის შესახებ საკითხი, მაშინვე წარმოიშობა მთავრობის დაარსებზეც საკითხი.

**გიორგი.** უეჭველია, არსეობს ეს შიში; ამიტომაც მე განსაკუთრებით ხაზს უსვამ იმ გარამოებას, რომ ანარქიზმი მაშინ შეიძლება განხორციელდეს ცხოვრებაში, როდესაც მოისპობა ძირითადი მიზეზი დღევანდელი კაცობრიობის შეტაკების, ე. ი. კერძო საკუთრება. აი რატომ უწოდებ ჩემ თავს ანარქისტს, ამავე დროს კომმუნისტიც ვარ. დიდი გაუგებრობა იქნებოდა და ამავე დროს უსაფუძლოც, რომ მოვვინდომებია ანარქიზმის განხორციელება მაშინ როდესაც ჯერ კიდევ არსებობს კერძო საკუთრება, და სხვა სოციალური დაწესებულებანი, მასთან შეერთებული. აი რატომ—ყოველივე ასეთ ნაბიჯს შეუძლია ადამიანი ისეთ ხაოსში შეიყვანოს, რომ მთავრობას, რაც დესპოტიური უნდა იყოს იგი, ხალხი დიდის დიდებით და პატივის ცემით მიიღებდა, როგორც მხსნელს ასეთი უბედურებისაგან.

თუ მაშინ, როდესაც კერძო საკუთრება მოისპობა, შესაძლო იქნება რაიმე კონფლიკტი, ძნელიც არ იქნება მისი მოსპობა, რადგანაც, ყველასათვის ცხადი იქნება, რომ შეთანხმება კარგია და სასარგებლოც.

მასთან ერთათ დაწესებულებანი ისეთი იქნებიან, როგორიც არის, მისი შემქნელი ხალხი; ერთი იქნება მეორესთვის, და ანარქიზმი როგორც თავისუფალი შეთანხმება, მაშინ არის შესაძლო, როდესაც ხალხი გაიგებს ერთი მეორის დახმარების და სოლიდარობის სარგებლობას.

აი რისთვის არის საჭირო პროპაგანდა.

კოწია.

(შემდეგი იქნება).